საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო



NEWSLETTER



მისია & ხედვა

ჩვენი მისია საქართველოს უსაფრთხო, გონივრული და მდგრადი საზღვაო კურსის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.

უსაფრთხო ნაოსნობის, ციფრული, ხარისხზე ორიენტირებული მომსახურეობების უზრუნველყოფითა და ინოვაციური პროექტების განხორციელებით, ვქმნით შესაძლებლობებს საქართველოსთვის, ჩამოყალიბდეს შავი ზღვის რეგიონში, როგორც მოწინავე საზღვაო ქვეყანა

- დიჯიტალიზაცია
- მეზღვაურთა ხელშეწყობა
- სექტორული ინტეგრაცია
- საერთაშორისო თანამშრომლობა

სანავსადგურე სერვისების გაციფრულება

საზღვაო ერთი ფანჯრის პრინციპი

ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება დანერგოს ეროვნული საზღვაო ერთი ფანჯარა (National Maritime Single Window). სისტემის მიზანია, ნავსადგურებში გემების გაფორმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების ჰარმონიზაცია, გამარტივება და გემთან დაკავშირებული სავალდებულო დოკუმენტების ერთი ფანჯრის პრინციპით გადაგზავნა შესაბამისი უწყებებისთვის ელექტრონულად, რაც აღმოფხვრის დუბლირების საჭიროებას და უფრო ეფექტურს გახდის გემის გაფორმების პროცესს. პროექტის პირველი ეტაპი - საქართველოს ნავსადგურებში ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევა - დასრულებულია. მეორე ეტაპი ფინანსდება ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით, და მოიცავს software და hardware-ის შეძენას და შემუშავებას. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის (DoJ) მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში, ზემოთაღნიშნული სისტემების დასანერგად გაიმარჯვა გერმანულმა საკონსულტაციო კომპანია Hamburg Port Consulting (HPC), ამასთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით საზღვაო ერთი ფანჯრის იმპლემანტაციისათვის მომზადდა საკანონმდებლო ბაზა.

ნავსადგურების გაერთიანების სისტემა

საზღვაო ტრანსპორტის ჯაჭვის სრული დიჯიტალიზაციისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით დასრულდა ნავსადგურის გაერთიანების სისტემის (Port Community System (PCS)) დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევა. კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა რეგიონულ სისტემებთან, შავი ზღვისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან, ასევე ევროკავშირის სისტემებთან ინტეგრირების შესაძლებლობები. შედეგად შემუშავებულ იქნა საქართველოში PCS დანერგვის სტრატეგია და სახელმძღვანელო პრინციპები. საიმპლემენტაციო თანხა მობილიზებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, საკანონმდებლო ბაზის მომზადებას აფინანსებს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, ხოლო საზღვაო კლასტერის განვითარებას ბრიტანეთის Good Governance Fund-ი.

სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება

ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა პეის ჯგუფისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (DFC) ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. პროექტი საშუალებას მისცემს Pace Group-ს გაზარდოს გენერალური, ნაყარი და ასევე საკონტეინერო ტვირთის მოცულობა. პორტს აქვს 4 ნავმისადგომი, რომლის წლიური გამტარუნარიანობაა: 1,5 მილიონი ტონა მშრალი ტვირთი, 100,000 TEU და 30,000 ტონა საბორნე ტვირთი.

ბათუმში საერთაშორისო კომპანია BICT-ის მიერ ტერმინალში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და სატვირთო ოპერაციების უსაფრთხოებისა და ეფექტურობის მიზნით მოხდა 3 ჰექტარის მოპირკეთება/კეთილმოწყობა, შეძენილია სხვადასხვა ტიპის ავტომტვირთავი და მიმდინარეობს მოლაპარაკება დამატებითი ტერიტორიის გამოყოფაზე, რომელიც გაზრდის სასაწყობე/საპარკინგე ადგილების რაოდენობას სატვირთო და მსუბუქი ავტომობილებისთვის, რაც ხელს შეუწყობს საბორნე ტვირთების დამუშავებას.

ტერმინალის მხრიდან გადადგმული ყველა ნაბიჯი მიმართულია სატერმინალო პროცედურების გამარტივების, დაჩქარების და მომსახურების მაღალეფექტური დონის შენარჩუნებისთვის.



საქართველოს ნავსადგურებში ნარჩენების მდგრადი მართვის მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარება - “Feasibility Study for Sustainable Port Waste Management in Georgia”

შვედეთის სამეფოს განვითარების ფინანსურ ინსტიტუტსა (“SWEDFUND International AB”) და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, დაფინანსდა ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის ნავსადგურებში, ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევა. კვლევა ჩაატარა გერმანულმა საკონსულტაციო კომპანიამ - HPM Hamburg Port Consulting GmbH, რომელიც საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით შეირჩა. პროექტის პირველი ეტაპის შედეგად გამოიკვეთა ბიზნესს შესაძლებლობები, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა მჭიდრო ურთიერთობები და გაძლიერდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს როლი საზღვაო ნარჩენების მართვის მონიტორინგის პროცესში. პროექტის მეორე ეტაპი ითვალისწინებს ინსინერატორის მშენებლობას. მიმდინარეობს დონორებთან კომუნიკაცია აღნიშნულის დასაფინანსებლად.

კორეის ოკეანეებისა და თევზჭერის სამინისტრომ საქართველოს გამოყო 1 მილიონი დოლარი თევზსაჭერი ნავსადგურის განვითარების მიზანშეწონილობის კვლევისთვის. კორეული საკონსულტაციოა კომპანია DOHA Engineering - გამოვლინდა გამარჯვებულად საერთაშორისო ტენდერში, და დაწყებულია საჭიროებების კვლევაზე მუშაობა. პროექტი გაგრძელდება 12 თვის განმავლობაში.

თევზსაჭერი ნავსადგურის განვითარების მიზანშეწონილობის კვლევა

EMSA-ს აუდიტი

2022 წლის მაისის თვეში საქართველოს ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აუდიტი ეწვია. აუდიტის მიერ, შემოწმდა საქართველოს მიერ გატარებული რეფორმები მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების პროცესში, თუ რამდენად აკმაყოფილებს ჩვენის განათლებისა და სერტიფიცირების ხარისხი საერთაშორისო მოთხოვნებს. აუდიტი ჩაუტარდა სააგენტოსა და ყველა საზღვაო-სასწავლო დაწესებულებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წლებია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ე.წ. „თეთრ სიაში“ ირიცხება, რაც ადასტურებს მეზღვაურთა წვრთნის, სერტიფიცირებისა და ვახტის გაწევის სისტემის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობას.
აუდიტის დასკვნის შედეგად, საქართველო სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და STCW კონვენციის მოთხოვნებს.

მეზღვაურთა შრომის ბაზრის რეფორმა

კანონის მიღება გამომდინარეობს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების დღის წესრიგიდან.

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა სარატიფიკაციო დოკუმენტი - „საზღვაო შრომის კონვენცია“, ასევე საქართველოს კანონის პროექტი „მეზღვაურთა შრომის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები.

„საზღვაო შრომის შესახებ“ 2006 წლის საერთაშორისო კონვენცია (MLC 2006) მსოფლიოს 1.5 მლნ-ზე მეტ მეზღვაურს უზრუნველყოფს ფართო უფლებებითა და სამუშაო ადგილზე დაცვის გარანტიებით.

უმნიშვნელოვანესია, კონვენციით გათვალისწინებული დებულებების ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში, აღნიშნული ხელს შეუწყობს მეზღვაურების სოციალური და შრომითი უფლებების დაცვას და საქართველოს სახელწმიფო დროშის ავტორიტეტის გაზრდას საერთაშორისო საზღვაო სანაოსნო ინდუსტრიაში.

„მეზღვაურთა შრომის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავ კომერციულ საქმიანობაში ჩართულ გემებზე მეზღვაურების დასაქმებისა და საქმიანობის წესებს, ასევე, საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელი პირის/ გემთმფლობელის მიერ ნებისმიერი დროშით მცურავ გემზე საქართველოს მოქალაქე მეზღვაურთა დასაქმების უნიფიცირებულ სტანდარტებსა და წესებს.

ინიცირებული კანონის პროექტი სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს: მეზღვაურთა მინიმალურ ასაკს, მეზღვაურთა შერჩევასა და შრომით მოწყობას, მეზღვაურთა შრომით ხელშეკრულებებს, ხელფასებს, სამუშაო დროისა და დასვენების დროის ხანგრძლივობას, შვებულებით სარგებლობის უფლებას, ხელფასის გადახდის წესს, ჯანმრთელობის დაცვას, სამედიცინო მომსახურებას, სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას და სოციალური უსაფრთხოების

კანონპროექტის შესაბამისად, მოხდება ყველა მოქმედი საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელი პირის სერტიფიცირება და მათი აქტიური მონიტორინგი და კონტროლი.

მეზღვაურთა დასაქმება

ქართველი მეზღვაურების დასაქმების ბაზარი ყოველწლიურად ფართოვდება. მიმდინარე წელს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ურთიერთაღიარების თაობაზე მემორანდუმები გაფორმდა ნიდერლანდების სამეფოსთან და კატარის სახელმწიფოსთან. ქართველ მეზღვაურებს უკვე 73 საზღვაო დროშის ქვეშ მცურავ ფლოტში შეუძლიათ დასაქმება, რომელთა შორის ევროკავშირის წევრი 20 ქვეყანაა.

სტუდენტების მხარდაჭერა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარდგინებით, სააგენტოს თანამშრომლები შვედეთში, მალმოს მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტში - საზღვაო სამართლისა და პოლიტიკის და საზღვაო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამებს შეისწავლიან სრული დაფინანსებით.

2022 წელს, სააგენტოს წარდგინებით მსოფლიო საზღვაო სასწავლებელში სწავლა დაუფინანსდა საქართველოს მოქალაქე 2 გოგონას.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2022 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის მრავალპროფილური თანამშრომლობა დამყარდა, საზღვაო უსაფრთხოების, უშიშროებისა და საზღვაო გარემოს დაცვის სფეროებში. სააგენტომ აქტიური თანამშრომლობა დაიწყო:

- მსოფლიოში უმსხვილეს საგანმანათლებლო და კვლევით ჯგუფთან (საზღვაო საგანმანათლებლო, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის მიმართულება) - STC GROUP-თან
- ჰოლანდიის გემთმფლობელთა ასოციაციასთან
- ჰოლანდიის ინფრასტრუქტურისა და წყლის რესურსების მართვის სამინისტროსთან.
- ჰოლანდიის კლიმატისა და განვითარების ფონდთან

საერთაშორისო საზღვაო გამოფენა-კონფერენცია POSIDONIA 2022

საგენტოს ორგანიზებით, საქართველო ეროვნული პავილიონით წარსდგა საბერძნეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო გამოფენა-კონფერენცია POSIDONIA 2022-ზე. პავილიონში წარმოდგენილი იყო საზღვაო სფეროს კერძო და საჯარო სექტორი. აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს საქართველოს დროშის პოზიციონირებას და უცხოელი გემთმფლობელების დაინტერესებას საქართველოს დროშის ქვეშ გემების რეგისტრაციისთვის; ასევე ქართველ მეზღვაურთა დასაქმების არეალის გაფართოებას.

საგენტოს ორგანიზებით, საქართველო ეროვნული პავილიონით წარსდგა საბერძნეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო გამოფენა-კონფერენცია POSIDONIA 2022-ზე. პავილიონში წარმოდგენილი იყო საზღვაო სფეროს კერძო და საჯარო სექტორი. აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს საქართველოს დროშის პოზიციონირებას და უცხოელი გემთმფლობელების დაინტერესებას საქართველოს დროშის ქვეშ გემების რეგისტრაციისთვის; ასევე ქართველ მეზღვაურთა დასაქმების არეალის გაფართოებას.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საქმიანობაში (IMO) ჩართულობა

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის იურიდიული კომიტეტის 108-ე სესიაზე, საagენტოს დირექტორის მოადგილე ერთხმად იქნა არჩეული კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ IMO-ს კომიტეტის თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარე ტრადიციულად 4 წლის განმავლობაში ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ხოლო ახალი თავმჯდომარის არჩევისას, როგორც წესი დატრადიციაა ჩამოყალიბებული, არსებულ ვიცე-თავმჯდომარეს ირჩევენ.

2022 წლის განმავლობაში საagენტოს მიერ საქართველოს სახელით ინიცირებულ და მხარდაჭერილ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

საქართველომ დასამტკიცებლად წარადგინა „საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებული ანგარიში, რომელზეც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელობით იმუშავა სპეციალურად შექმნილმა საკორესპოდენციო ჯგუფმა;

საქართველოს დელეგაცია, საზღვაო ტრანსპორტის საagენტოს დირექტორის მოადგილის ივანე აბაშიძის ხელმძღვანელობითუძღვებოდა იურიდიული კომიტეტის 107-ე სესიის შედეგად შექმნილ IMO-ს გემთმფლობელთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის საერთო ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შექმნილ ინტერსესიულ სამუშაო ჯგუფს, რომლის ანგარიშის წარდგენაც განხორციელდა საქართველოს მიერ შესაბამის სესიაზე;

მეზღვაურთა სამართლიანი მოპყრობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მიერ მხარდაჭერილ იქნა 2 დოკუმენტი, რომელთა მიზანია წინადადებების შეთავაზება მეზღვაურთა სამართლიანი მოპყრობის შესახებ ILO/IMO-ს სახელმძღვანელოს შემუშავების დაჩქარებასთან დაკავშირებით;

საქართველომ და არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმა ერთობლივად წარადგინეს დოკუმენტი, რომელიც შეეხება IMO-ს საიდენტიფიკაციო ნომრების სქემების არასწორ ექსპლუატაციას.



საქართველოს საზღვაო სფეროს განვითარების კონცეფცია

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ექსპერტების მიერ, საქართველოს საზღვაო სფეროს კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად შემუშავებულ იქნა საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დოკუმენტის გადაწყობა ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოში მოსაქცევად საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგიული განვითარების კონცეფციის დოკუმენტად. კონცეფციის დოკუმენტი ხელს შეუწყობს საზღვაო ტრანსპორტის დარგის მწყობრ, მდგრად და ეფექტურ განვითარებას და საზღვაო ტრანსპორტის დარგში საბაზისო მონაცემებისა და ინდიკატორების შემუშავებას. კონცეფციის დოკუმენტის დამტკიცება იგეგმება მიმდინარე წლის განმავლობაში.

სექტორული ინტეგრაცია

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, სააგენტომ საქართველოს სახელით, ტრანსპორტის სფეროში უზრუნველჰყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, დანერგილია დირექტივების 86%.
საქართველო მიერთებულია ევროკავშირის ქვეყნების გემების შორ მანძილზე იდენტიფიკაციისა და მონიტორინგის სისტემას (LRIT CDC). აღნიშნულ სისტემასთან მიერთებით, მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს შესაძლებლობები საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ზღვაზე ძებნა-გადარჩენის და ზღვის გარემოს დაცვის თვალსაზრისით.
მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის პირველი არაწევრი ქვეყანაა, რომელიც ამ სისტემის ნაწილი გახდა.



2022 წელს, ფოთის საზღვაო ნავსადგურმა მიიღო საზღვაო ხაზი -CMA CGM-ის, ახალი სერვისის 1,118 TEU ტევადობის გემი, რომელიც რეგულარულად იმოძრავებს პირეუსის, ამბარლისა და ფოთის პორტებს შორის. გემი ფოთის ნავსადგურში დაახლოებით ათ დღეში ერთხელ შემოვა. ასევე, 2022 წლის ოქტომბრიდან, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალზე ოპერირება დაიწყო Cosco Shipping Line-მა, რომელიც კვირაში ერთ რეისს შეასრულებს და მოემსახურება ჩინურ ტვირთს





2022 წელს საქართველოს ნავსადგურებში შემოვიდა 1,606 გემი, რაც იყო 1%-იანი მატება წინა წელთან შედარებით



2022 წლის განმავლობაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული საკრუინგოების მიერ დასაქმებული მეზღვაურების რაოდენობამ 4,080 შეადგინა.


მეზღვაურების დასაქმება პოზიციების მიხედვით
484
311
285
283
265
AB
Cadet
3/O
OS
2/E


მეზღვაურების დასაქმება ტოპ დროშების მიხედვით
210
267
675
976
1,227
Singapore
Malta
Panama
Liberia
Marshall Islands


მეზღვაურების დასაქმება გემის ძირითადი ტიპების მიხედვით
98
81
313
489
2,944
Tanker
Bulk Carrier
Container
Gas Carrier
General Cargo


მეზღვაურების დასაქმება ასაკობრივ ჭრილში
168
381
1,323
755
1,453
20-29
30-39
40-49
50-59
60-69